

**კონკურსი სააპელაციო საბჭოს წევრების (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით) კანდიდატურათა შესარჩევად**

**1) საბჭოს დასახელება:**

სააპელაციო საბჭო

**2) შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**ა) შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობა - 3**

სააპელაციო საბჭოს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს კვოტით) წევრობის კანდიდატები შეიძლება იყვნენ დამსაქმებლის/მათი გაერთიანების, დარგობრივი გაერთიანების, სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროფესიული განათლების ექსპერტები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

**ბ) დამსაქმებლის/მათი გაერთიანების წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
- საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში, ამასთან საბჭოს წევრად წარდგენის მომენტისათვის საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულის სტატუსის ქონა;

**გ) დარგობრივი გაერთიანების წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- პროფესიული განათლება ან/და უმაღლესი განათლება;
- შესაბამის დარგობრივ გაერთიანებაში ბოლო 1 წლის განმავლობაში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულის სტატუსის ქონა;

**დ) პროფესიული განათლების ექსპერტების საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება;
- პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება.

**ე) სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
- განათლების სფეროში არანაკლებ 2 წლის მუშაობის გამოცდილება.

**ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლების არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა ან/და ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება;

- ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი არ უნდა იყოს დაწესებულებაში ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებული პირი ან დაწესებულების დამფუძნებელი.

### 3) საბჭოს წევრის ფუნქციები

სააპელაციო საბჭოს წევრის ფუნქციები განისაზღვრება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით.

### 4) განცხადების წარდგენის ვადა და წესი:

ა) სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ განცხადება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შესაძლებელია წარადგინოს ორგანიზაციამ ან ფიზიკურმა პირმა:

- იურიდიული პირის მიერ საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში, ცენტრს წარედგინება განცხადება (დანართი N1);
- კანდიდატის მიერ მიმართვის შემთხვევაში ცენტრს წარედგინება განცხადება (დანართი N2).

ბ) განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ავტობიოგრაფია (CV);
- ცნობა სამუშაო ადგილიდან;
- შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად);
- კანდიდატის წერილობითი თანხმობა სააპელაციო საბჭოს წევრობის შესახებ (თუ განცხადებას წარმოადგენს იურიდიული პირი).

გ) განცხადების შემოტანის ვადა - 2022 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

### 5) დამატებითი ინფორმაცია:

- საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე ან ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოს წევრი;
- წარდგენილი კანდიდატი განხილული იქნება სააპელაციო საბჭოს წევრობის კანდიდატად განცხადების ფორმაში შესაბამისი თანხმობის დაფიქსირების საფუძველზე;
- სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 (ორი) წლით;

### შენიშვნა:

- შესარჩევი კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში საბჭოს წევრობის კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი ან/და მოითხოვოს მასთან გასაუბრების ჩატარება.

განცხადებების მიღება წარმოებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული ფოსტის - [jobs@eqe.ge](mailto:jobs@eqe.ge) - მეშვეობით.

შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე: (+995 32) 2 200 220 (\*3599)